Tbilisi LED 9th FORUM
Local Economic Development

# მომავლის ქალაქები

## თანამედროვე მიდგომები ქალაქების განვითარებისთვის

დეკემბერი 7-8, 2016

თბილისი, საქართველო

## კატალოგი

www.economicforum.ge

# ორგანიზატორი:

TBILISI CITY HALL

Tbilisi
The city that loves you

# პარტნიორები

ADB

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

European Bank for Reconstruction and Development

SARAJISHVILI

mastercard

USAID
World Bank
JICA
Huawei
WCCD; ტორონტო, კანადა
Caritas Georgia; საქართველო
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევრაოტლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
აზერბაიჯანის ურბანულ დაგეგმარებისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი.
ელექტრონული მმართველობის აკადემია, ტალინი, ესტონეთი
უკრაინის ელექტრონული მმართველობის სახელმწიფო სააგენტო

ვიქტორიას სატრანსპორტო პოლიტიკის ინსტიტუტი, ვიქტორია, კანადა
Mott Macdonalds; ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტრანსპორტისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტი, ნიუ-ორკი, აშშ
Anteja ECG; ლუბლიანა, სლოვენია
„გონიერი შენობების“ ცენტრი, პოზნანი, პოლონეთი
მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია; თბილისი საქართველო
ენერგოეფექტურობის ცენტრი, თბილისი საქართველო
ახალი ტექნოლოგიებს ცენტრი, თბილისი, საქართველო
მსოფლიო მოგზაურობის აკადემია, ამსტერდამი, ჰოლანდია
Destination Uppsala; უპსალა, შვედეთი
Moody's Investors Service; სტამბოლი, თურქეთი
Colliers International; თბილისი საქართველო
Zaz Ventures; ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ARIC GROUP; თბილისი საქართველო
სითი ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
The Other Space Foundation; ვარშავა, პოლონეთი
თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - თბილისი, საქართველო
Multiverse Architecture; თბილისი, საქართველო

# პარტნიორი ქალაქები

ვაშინგტონი, აშშ
ტორონტო, კანადა
ვენა, ავსტრია
ინსბრუკი, ავსტრია
ლუბლინი, პოლონეთი

ვინიუ-სუღ-სეინი, საფრანგეთი
ვერესი, იტალია
საარბრუკენი, გერმანია
ლაუენბერგი, გერმანია

ხარკოვი, უკრაინა
კიშინოვი, მოლდოვა
მინსკი, ბელარუსი
სტამბოლი, თურქეთი

# მედია პარტნიორები

Forbes Georgia
Business Week Caucasus
GT Georgia Today
where.ge
ბანკები და ფინანსები
საქმიანი დილა
bpn
IPN
COMMERSANT 95.5 FM

# მისალმება



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) ფორუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომლის ორგანიზებაც ყოველწლიურად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხორციელდება. ფორუმის მიზანია განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე არსებული გამოწვევების განხილვა და მოხდეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გზების ფორმირება. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ღონისძიება ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან პლატფორმად, რომელიც იძლევა განხილვების და  ერთობლივი პროექტების ინიცირების შესაძლებლობას, აერთიანებს კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორს, ქალაქის დაგეგმარების სპეციალისტებს, ეკონომისტებს, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და აკადემიკოსებს. აღნიშნული პირების მონაწილეობა არსებითია, რადგან თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გრძელვადიანი და ეფექტური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში მდგრადი ქალაქების შესაქმნელად.

ამჟამად მსოფლიოს ქალაქები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, რაც განპირობებულია ქალაქის სტრატეგიების არარსებობით, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობით. 2016 წლის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმის ფარგლებში სწორედ იმ გამოწვევებსა და საკითხებზე მოხდება მსჯელობა, რომლებზეც ქალაქების მხრიდან საჭიროა აქტიური მუშაობა და სწრაფი რეაგირება მომავალში მდგრადობის გარანტიის უზრუნველსაყოფად.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი ხელს უწყობს ინოვაციური და კონცეპტუალური პლატფორმების წახალისებას. ფორუმი ერთი ქოლგის ქვეშ აქცევს ადგილობრივ და საერთაშორისო მონაწილეებს და აძლევს მათ დისკუსიების გამართვისა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

მჯერა, რომ ფორუმი სწორედ ის ადგილია, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობების ლიდერები ერთიანი ძალებით უზრუნველყოფენ სწორი გადაწყვეტლებების მიღებას ჩვენი საცხოვრებელი ადგილების სასარგებლოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ღონისძიება არა მხოლოდ ხაზს გაუსვამს სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების აუცილებლობას ქალაქში, არამედ გადადგმული იქნება კონკრეტული ნაბიჯები ინკლუზიური კეთილდღეობის მისაღწევად.

**ქალაქ თბილისის**
**მუნიციპალიტეტის მერი**

# სარჩევი

5 ფორუმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

6 ფორუმის განრიგი

8 ფორუმის პროგრამა

16 სესიების აღწერა

17 ინფორმაცია მომხსენებლებზე

18 დამატებითი ინფორმაცია

# ფორუმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

## ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი - **თბილისი, საქართველო**

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი, რომელიც 2007 წლიდან ტრადიციულად ტარდება ქ. თბილისში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას, ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილებას და ურთიერთობის გაღრმავებას. ფორუმის ორგანიზატორები არიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მისი პარტნიორი ორგანიზაციები. ყოველწლურად, ღონისძიება უფრო პოპულარული ხდება, რაც გამოიხატება ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილეთა რაოდენობის ზრდით, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს, საქმიანი კავშირების გაღრმავებას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

არსებული ტენდენციიდან გამომდინარე, წლევანდელი ფორუმის მთავარ საკითხს წარმოადგენს ქალაქის მდგრადი განვითარება და ქ. თბილისის ,,გონიერ ქალაქად“ გარდაქმნის წახალისება. აღნიშნული საკითხების, განხილვის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ადგილბორივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი ქმნის, რომლის წარმატება განპირობებულია საქმიანი შეხვედრების, დიალოგების და თემატური განხილვების ორგანიზებით.

წინამორბედი ეკონომიკური ფორუმების მსგავსად, წლევანდელი პლატფორმის ლაიტმოტივი თანხვედრაში იქნება თანამედროვეობის მოთხოვნებთან, გამოავლენს ინოვაციური განვითარების ახალ შესაძლებლობებს და საფუძველს ჩაუყრის ამბიციური პროექტების განხორციელებას. აღნიშნულის უპირველეს/უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ჩვენი ქალაქები გახდნენ საცხოვრებლად უფრო მიმზიდველები და მაქსიმალურად გამოიყენონ XXI საუკუნის ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

- **2015** — Integrated and Citizen-Oriented Urban
- **2013** — Shaping Tomorrow’s Cities for Citizens Today
- **2012** — Cities of Tomorrow Challenges, Visions, Ways Forward
- **2011** — The 5th LED Support Conference of Tbilisi
- **2010** — “New Profile of Tbilisi City”
- **2009** — Still Attractive for Visitors
- **2008** — Tbilisi-Right Place, Right Time to Invest in Real Estate
- **2007** — “Support for Business Development on the local Level”

# ფორუმის განრიგი

| 7 დეკემბერი | |
|---|---|
| 8:30-9:30 | რეგისტრაცია |
| 9:30-10:15 | ფორუმის გახსნა |
| 10:15-12:00 | წამყვანი მომხსენებლები |
| 12:00-13:00 | ლანჩი |
| | თემატური მოხსენება & განხილვა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13:00-14:00 | **„გონიერი ქალაქის“ სტრატეგიები**<br>სტრატეგიები და სწორი გადაწყვეტილებები გონიერი ქალაქების ფორმირებისათვის<br>*კონგრეს ჰოლი* | **„ფანდრაიზინგი“**<br>სამმხრივი თანამშრომლობა: ქალაქები და საერთაშორისო ორგანიზაციები ადგილობრივი თვითმმართველობების მეტი შესაძლებლობებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **„მწვანე ქალაქი“**<br>პრაქტიკული გადაწყვეტილებები მწვანე ქალაქების განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N4* |
| **14:00-14:15** | შესვენება | | |
| 14:15-15:15 | **„გონიერი ქალაქის“ სტრატეგიები**<br>სტრატეგიები და სწორი გადაწყვეტილებები გონიერი ქალაქების ფორმირებისათვის<br>*კონგრეს ჰოლი* | **„ფანდრაიზინგი“**<br>სამმხრივი თანამშრომლობა: ქალაქები და საერთაშორისო ორგანიზაციები ადგილობრივი თვითმმართველობების მეტი შესაძლებლობებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **„მწვანე ქალაქი“**<br>პრაქტიკული გადაწყვეტილებები მწვანე ქალაქების განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N4* |
| **15:15-15:45** | ყავის შესვენება | | |
| 15:45-16:45 | **ელექტრონული მმართველობა**<br>ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება და დემოკრატიის გაძლიერება<br>*კონგრეს ჰოლი* | **ინვესტიციები**<br>როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები ქალაქების გონიერი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **ენერგოეფექტურობა**<br>ენერგოეფექტური გადაწყვეტილებები ქალაქების და უბნების განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N4* |
| **16:45-17:00** | შესვენება | | |
| 17:00-18:00 | **ელექტრონული მმართველობა**<br>ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება და დემოკრატიის გაძლიერება<br>*კონგრეს ჰოლი* | **ინვესტიციები**<br>როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები ქალაქების გონიერი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **ენერგოეფექტურობა**<br>ენერგოეფექტური გადაწყვეტილებები ქალაქების და უბნების განვითარებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N4* |

# ფორუმის განრიგი

| 8 დეკემბერი | |
|---|---|
| 10:00-11:00 | რეგისტრაცია |
| | თემატური მოხსენება & განხილვა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 11:00-12:00 | **საზოგადოებრივი ტრანსპორტი**<br>საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან<br>*კონგრეს ჰოლი* | **ტურიზმი**<br>მიმზიდველი სივრცული მოწყობა და ტურიზმის ახალი ტალღა ქალაქებში<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **საერთაშორისო ურთიერთობები**<br>მჭიდრო თანამშრომლობა თბილისსა და პარტნიორ ქალაქებს შორის - ინიციატივები და მოტივაცია ქსელის გასაზრდელად<br>*შეხვედრების ოთახი N4-35* |
| **12:00-12:15** | ყავის შესვენება | | |
| 12:15-13:15 | **საზოგადოებრივი ტრანსპორტი**<br>საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან<br>*კონგრეს ჰოლი* | **ტურიზმი**<br>მიმზიდველი სივრცული მოწყობა და ტურიზმის ახალი ტალღა ქალაქებში<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **აღმოსავლეთ პარტნიორობა**<br>აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა ერთიანი და მდგრადი ქალაქებისთვის<br>*შეხვედრების ოთახი N4-35* |
| **13:15-14:15** | ლანჩი | | |
| 14:15-15:15 | **ქალაქის ინფრასტრუქტურა**<br>მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება და ინოვაციური პროექტების განხორციელება: რა როლი უკავია ქალაქის ინფრასტრუქტურას ეკონომიკური განვითარებაში<br>*კონგრეს ჰოლი* | **კრეატიული ინდუსტრია**<br>უნარები და ტრანსფორმაციული ქმედებები: კრეატიული იდეების გარდაქმნა შემოსავლის წყაროდ<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **საზოგადოებრივი ტრანსპორტი**<br>საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან<br>*შეხვედრების ოთახი N4-35* |
| **15:15-15:30** | ყავის შესვენება | | |
| 15:30-16:30 | **ქალაქის ინფრასტრუქტურა**<br>მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება და ინოვაციური პროექტების განხორციელება: რა როლი უკავია ქალაქის ინფრასტრუქტურას ეკონომიკური განვითარებაში<br>*კონგრეს ჰოლი* | **კრეატიული ინდუსტრია**<br>უნარები და ტრანსფორმაციული ქმედებები: კრეატიული იდეების გარდაქმნა შემოსავლის წყაროდ<br>*შეხვედრების ოთახი N3* | **საზოგადოებრივი ტრანსპორტი**<br>საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან<br>*შეხვედრების ოთახი N4-35* |

| | |
|---|---|
| 16:30-17:15 | ფორუმის შეჯამება |

# ფორუმის პროგრამა

## ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 2016

| | |
|---|---|
| **9:00-9:30** | **რეგისტრაცია** |
| **9:30-10:15** | **ფორუმის გახსნა** |

**მისასალმებელი სიტყვა**

დავით ნარმანია - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი
დიმიტრი ქუმსიშვილი - საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი
გიორგი გახარია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
ზურაბ ალავიძე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
გრიგოლ ლილუაშვილი - საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე
იეშიმ ელჰან-კაიალარი - საქართველოში აზიის განვითარების ბანკის (ADB) მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი
ბრუნო ბალვანერა - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში

| | |
|---|---|
| **10:15-12:00** | **მთავარი პანელი** |

**თანამედროვე აზროვნება ქალაქების შესახებ**

**მოდერატორი**

ერიკ ფრეი - „Der Standard“ -ის მთავარი რედაქტორი,“Financial Times“ და „The Economist“-ის კორესპონდენტი

**მთავარი მომხსენებლები**

ალესანდრო ჯოვანეზი - ქალაქ ვერეს მერი, იტალია
ბრუნო ბალვანერა - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში
პედრო ორტიზი - ქალაქის დაგეგმარების სპეციალისტი, World Bank, ADB, EU. ყოფილი მადრიდის მერის მოადგილე; „სტრატეგიული გეგმა მადრიდისთვის“ დირექტორი
ტოდ ლიტმანი - ვიქტორიას ტრანსპორტის პოლიტიკის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი
ჯონათან ბრედი - საერთაშორისო პროგრამის მენეჯერი; მცირე და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი, ვაშინგტონი

| | |
|---|---|
| **12:00-13:00** | **ლანჩი** |

# ფორუმის პროგრამა

## თემატური მოხსენება & განხილვა

**13:00-15:15** **პარალელური სესია 1**

### „გონიერი ქალაქის“ სტრატეგიები
სტრატეგიები და სწორი გადაწყვეტილებები გონიერი ქალაქების ფორმირებისათვის

*კონგრეს ჰოლი*

**მოდერატორი** ნიკო თილი - WCCD-ის ევროპის ოფისის დირექტორი/ Smart Rotterdam & AMS-ის მრჩეველი

**მომხსენებლები** ვლადიმერ ბატაევი - ექსპერტი გონიერი ქალაქების ფორმირების და ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიმართულებით; Zaz Ventures
სებასტიან კავალკო - მერის მრჩეველი, ქალაქ ლუბლინის მუნიციპალიტეტი
იოჰან ზიგმუნდი - არქიტექტორი; ქალაქმგეგმარებელი
ჟაო ჩინი - Huawei Enterprise EBG, „გონიერი ქალაქების“ მთავარი არქიტექტორი

---

**13:00-15:15** **პარალელური სესია 2**

### „ფანდრაიზინგი“
სამმხრივი თანამშრომლობა: ქალაქები და საერთაშორისო ორგანიზაციები ადგილობრივი თვითმმართველობების მეტი შესაძლებლობებისთვის

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** ნანა ადეიშვილი - აზიის განვითარების ბანკის (ADB) კონსულტანტი, მომავლის ქალაქების პროგრამა

**მომხსენებლები** ენდრიუ მაკინტერი - ურბანული განვითარების უფროსი სპეციალისტი; ADB
მარკ მიჩელი - ოფისის დირექტორი, პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერის ოფიცერი, USAID /საქართველო
იოშიაკი ტაბატა - პროექტის მრჩეველი; Jica
ნილ ჩადერი - გარემოსდაცვის უფროსი ინჟინერი;
ქალაქები განვითარების ინიციატივა აზიისთვის; ADB
ანაჰით მხოიანი - ,,კარიტას საქართველო’’-ს დირექტორი

---

**13:00-15:15** **პარალელური სესია 3**

### „მწვანე ქალაქი“
პრაქტიკული გადაწყვეტილებები მწვანე ქალაქების განვითარებისთვის

*შეხვედრების ოთახი 4*

**მოდერატორი** მიხეილ უკლება - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროექტების მენეჯერი

**მომხსენებლები** ალესანდრო ჯოვანეზი - ქალაქ ვერეს მერი, იტალია
მათეა დერმასტია - „Anteja ECG“ აღმასრულებელი დირექტორი
ნაიჯელ ჯოლანდი - ასოცირებული დირექტორი ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილების მიმართულებით; EBRD
კახაბერ მდივანი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
ალან მამოსერი - რეგიონული განვითარების ექსპერტი, „Planning Magazine“
დარიუს სტასიკი - გონიერი შენობების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

# ფორუმის პროგრამა

**15:15-15:45** **ყავის შესვენება**

**15:45-18:00** **პარალელური სესია 1**

## ელექტრონული მმართველობა
### ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება და დემოკრატიის გაძლიერება

*კონგრეს ჰოლი*

**მოდერატორი** ერიკ ფრეი - „Der Standard“ -ის მთავარი რედაქტორი,“Financial Times“ და „The Economist“-ის კორესპონდენტი

**მომხსენებლები**
ივარ ტალო - ელ-მმართველობის აკადემიის დამფუძნებელი, ტალინი
დმიტრო მაკოვსკი - ელ-მმართველობის და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ელ-მმართველობის სახელმწიფო სააგენტო, უკრაინა
ქეთევან თათოშვილი - საჯარო სექტორის მენეჯერი, Microsoft
ირაკლი გვენეტაძე - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე
სიდჰარტა რაჯა - მთავარი სპეციალისტი ტექნოლოგიის და დასაქმების საკითხებში, მსოფლიო ბანკი
ვახტანგ ჭედიშვილი - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, თბილისი მუნიციპალიტეტის მერია

**15:45-18:00** **პარალელური სესია 2**

## ინვესტიციები
### როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები ქალაქების გონიერი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისთვის

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** თამუნა ლილუაშვილი - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე

**მომხსენებლები**
გიორგი ებანოიძე - ბიზნესის სტიმულირებისა და ინვესტორთა ხელშეწყობის განყოფილების უფროსი, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ნიკოლოზ ქევხიშვილი - Colliers International Georgia-ს შეფასებისა და კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი
მარიუს საგანი - სტრატეგიისა და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი; ქ.ლუბლინის მუნიციპალიტეტი
აფზალ რავარი - ARIC GROUP-ის დამფუძნებელი
ნათია ბანცური - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ეკონომისტი
ვლადლენ კუზნეცოვი - ვიცე პრეზიდენტი - უფროსი ანალიტიკოსი, „Moody’s Investors Service“

**15:45-18:00** **პარალელური სესია 3**

## ენერგოეფექტურობა
### ენერგოეფექტური გადაწყვეტილებები ქალაქების და უბნების განვითარებისთვის

*შეხვედრების ოთახი 4*

**მოდერატორი** მარგალიტა არაბიძე - ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების სამმართველოს უფროსი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

**მომხსენებლები**
ტიმ ფარელი - მთავარი მრჩეველი, კოპენჰაგენის ენერგო ეფექტურობის ცენტრი
ზაალ ხელაძე - გენერალური დირექტორი, ახალი ტექნოლოგიური ცენტრი
ხოსე რომერო - კონსულტატი ინოვაციების და ტექნოლოგიების საკითხებში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გიორგი აბულაშვილი - მერების შეთანხმების ეროვნული ექსპერტი აზერბაიჯანსა და საქართველოში; ენერგოეფექტურობის ცენტრის დირექტორი
თამარ პატარიძე - პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის პროექტი - დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიები

# ფორუმის ისტორია

## ფოტო გალერეა















# ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2016

**10:00-11:00** **რეგისტრაცია**

**11:00-13:15** **თემატური მოხსენება & განხილვა**

**პარალელური სესია 1**

## საზოგადოებრივი ტრანსპორტი

### საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან

*კონგრეს ჰოლი*

**მოდერატორი** ტოდ ლიტმანი - ვიქტორიას ტრანსპორტის პოლიტიკის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი

**მომხსენებლები** კატია სჩეჩტნერი - კვლევითი ლაბორატორიის „MIT Media Lab"-ისა და ქ.ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანული საკითხების მკვლევარი, მოწვეული პროფესორი; ADB
სერგეი ფრანტსიშკო - ვიცე-პრეზიდენტი MasterCard-ის ბიზნესის განვითარების მიმართულებით; უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი
მარკ სელინი - პროექტის მენეჯერი, Mott Macdonalds
არიფ ემესენი - IETT გენერალური მენეჯერი, სტამბოლის მეტროპოლიის მუნიციპალიტეტი
პიტერ ტომპსონი - ტრანსპორტის და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი

**11:00-13:15** პარალელური სესია 2

## ტურიზმი
### მიმზიდველი სივრცული მოწყობა და ტურიზმის ახალი ტალღა ქალაქებში

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** იაკობ ვუნტერ ვან დრევენი - დირექტორი, World Travel Academy

**მომხსენიებელი**
გიორგი ჩოგოვაძე - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მარკუს მატიესენი - თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ლაუენბურგის საკრებულო
თინა მიკანენი - CEO, Destination Uppsala
ფრანს ხავიერ გრუბერი - მერის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში, ქ.ინსბრუკის მერია
ქი პინგშუ - ყოფილი მენეჯერი და მკვლევარი, ჩინეთის ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია (CNTA)
ია თაბაგარი - საქართველოს ტურ-ოპერატორების ასოციაციის თავმჯდომარე
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის დამფუძნებელი

---

**11:00-13:15** პარალელური სესია 3

## საერთაშორისო ურთიერთობები
### მჭიდრო თანამშრომლობა თბილისსა და პარტნიორ ქალაქებს შორის - ინიციატივები და მოტივაცია ქსელის გასაზრდელად

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** ვლადიმირ ბატაევი - ექსპერტი გონიერი ქალაქების ფორმირების და ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიმართულებით; Zaz Ventures

**მომხსენებლები**
ჯონათან ბრედი - საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი, კოლუმბიის ოლქის მცირე და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი, ვაშინგტონი კოლუმბიის ოლქი
რეჯინა ვიალა-ზიმი - ხელმძღვანელი, ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა დეპარტამენტი, ქ.ვენა
ანა არდელინი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ჰაიკე ბორნოლდტ-ფრეიდი - ეკონომიკური განვითარების, სამუშაო ბაზრის და საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტი, ქ.ინსბრუკის მერია
ფრანკ ლადუკი - მერის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ქ. ვინე-სიურ-სენის მერია
ბექა ჩხეიძე - საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

---

**13:15-14:15** ლანჩი

---

# ფორუმის პროგრამა

**14:15-16:30** **პარალელური სესია 1**

### ქალაქის ინფრასტრუქტურა
მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება და ინოვაციური პროექტების განხორციელება: რა როლი უკავია ქალაქის ინფრასტრუქტურას ეკონომიკური განვითარებაში

*კონგრეს ჰოლი*

**მოდერატორი** ერიკ ფრეი - „Der Standard“-ის მთავარი რედაქტორი,“Financial Times“ და „The Economist“-ის კორესპონდენტი

**მომხსენებლები** რიჩარდ ჯოი - აღმასრულებელი დირექტორი, ტორონტოს ურბანული მიწის ინსტიტუტის რაიონული საბჭო
გუნარ ჰაგლუნდი - დირექტორის მოადგილე, აღმოსავეთ ევროპის დეპარტამენტი, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო
მარტინ კრულისი - მერის მრჩეველი ურბნული განვითარების საკითხებში, ქ.ინსბრუკის მერია
ირაკლი დარახველიძე - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სერგეი აკინჩიკი - ,,მინსკგრადო’’-ს ხელმძღვანელი; მინსკის აღმასრულებელი კომიტეტი
მამუკა სალუქვაძე - დირექტორი, City Institute Georgia

---

**14:15-16:30** **პარალელური სესია 2**

### კრეატიული ინდუსტრია
უნარები  და ტრანსფორმაციული ქმედებები: კრეატიული იდეების გარდაქმნა შემოსავლის წყაროდ

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** ლუჩიანო გლური - კონსულტანტი კრეატიული ეკონომიკის და კულტურული პოლიტიკის საკითხებში

**მომხსენიებელი** დევი ქიტუაშვილი - მმართველი პარტნიორი, დირექტორი Multiverse Architecture
აგატა ეთმანოვიჩი - პრეზიდენტი, Impact Foundation; კრეატიული მეწარმე, პოლონეთი
ვატო წერეთელი - დამფუძნებელი, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი
ვიტეკ ჰებანოვსკი - პრეზიდენტი The Other Space Foundation; კრეატიული მეწარმე, პოლონეთი
პიერ ლუიჯი საკო - პროფესორი კულტურული ეკონომიკის საკითხებში, IULM University in Milan
მარგე ლაზაარენკოვა - კრეატიული სტრატეგიების სპეციალისტი, კრეატიული მეწარმე, „Balki Loft Project“, ბელორუსი
მიხალ ლეხ-კოვალსკი - კრეატიული მეწარმე, პოლონეთი

**14:15-16:30** პარალელური სესია 3

## აღმოსავლეთ პარტნიორობა
### აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა ერთიანი და მდგრადი ქალაქებისთვის

*შეხვედრების ოთახი 4*

**მოდერატორი** ეკა ბურდილაძე - ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

**მომხსენიებელი** ოლივერ რაისნერი - ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, Jean Monnet-ს თავმჯდომარე

ჯულია ზგურსკა - ხელმძღვანელი, ტურისტული ინფრასტრქტურის განვითარების და ბრენდინგის პროექტების დეპარტამენტი, ქ.ხარკოვის საკრებულოს საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახური

ვერონიკა ჰერტა - დირექტორი, მუნიციპალური წყალმომარაგების კომპანია, ქ.კიშინოვის მუნიციპალიტეტი

ბექა მურღულია - მთავარი სპეციალისტი, ევროპული ინტეგრაციის დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევრაოტლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

ამინ მამადოვი - დირექტორის მოადგილე, ბაქოს რეგიონული განვითარების გეგმის პროექტების იმპლემენტაციის განყოფილება, ურბანული დაგეგმვის და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი

დენის ლაზარენკო - დამფუძნებელი Balki Loft Project, ბელარუსი

**16:30-17:15** შეჯამება

*შეხვედრების ოთახი 3*

**მოდერატორი** ერიკ ფრეი - „Der Standard“ -ის მთავარი რედაქტორი,“Financial Times“ და „The Economist“-ის კორესპონდენტი

**შემაჯამებელი სიტყვა** ირაკლი ლექვინაძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

**დახურვის პროგრამა** ხელშეკრულების გაფორმება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და WCCD-ს შორის

ხელშეკრულების გაფორმება კიოლნის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

,,მწვანე ინიციატივის ქსელის’’ წარდგინება

ხელმოწერა მწვანე ინიციატივის მხარდაჭერასთან დაკავშირებით

# სესიების აღწერა

### „გონიერი ქალაქის„ სტრატეგიები - სტრატეგიები და სწორი გადაწყვეტილებები გონიერი ქალაქების ფორმირებისათვის

ენერგოეფექტური გმიდგომა ქალაქებისა და უბნებისთვის არის საუკეთესო პრაქტიკა ადგილობრივი, ხელმისაწვდომი და დაბალემისიებიანი ენერგიის მოხმარებისთვის. USAID-ის კვლევის თანახმად, საქართველოს აქვს ენერგოეფექტურობის დიდი პოტენციალი საჯარო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ სახლებში. ემისიების შემცირების იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც თბილისს აქვს დასახული მერების შეთანხმების მიხედვით, აუცილებელია განხორციელდეს კოლექტიური, ინოვაციური, გონივრული ენერგოეფექტური გადაწყვეტა.

### ფანდრაიზინგი - სამმხრივი თანამშრომლობა: ქალაქები და საერთაშორისო ორგანიზაციები ადგილობრივი თვითმმართველობების მეტი შესაძლებლობებისთვის

სესიის მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ცოდნისა და შესაძლებლობების გაზიარება, რომლის მიზანს წარმოადგენს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა.
ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახით, ფორუმი წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას იმის გასაგებად, თუ როგორ დაამყაროთ ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ფონდებთან: როგორ ხორციელდება დონორების მიერ ქალაქების მხარდაჭერა ფულადი სახსრებით და ქალაქიდან ქალაქში გამოცდილება.

### „მწვანე ქალაქი„ - პრაქტიკული გადაწყვეტილებები მწვანე ქალაქების განვითარებისთვის

თბილისის მიერ განისაზღვრა ქალაქის გარემოს განვითარების გრძელვადიანი მომავლი, ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისის მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც მისაღები იქინება მოსახელეობისთვის. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების ზეგავლენა მინიმალური იქნება გარემოზე,  ასევე განსაკუთრებით ხაზი გაესმება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. თბილისის, როგორც მდგრადი ქალაქის განვითარებისთვის და მოქალაქეების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი კვლევები სამეცნიერო დონეზე, რის შემდეგაც, შესაძლებელი იქნება კონკრეტული გეგმების შემუშავება და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული პროცესის წარმატებით წარმართვისთვის, გადამწყვეტია სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას იძლევა ეტაპობრივად განხორციელდეს საკანონმდებლო და პოლიტიკური ცვლილებები.

### ელექტრონული მმართველობა - ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება და დემოკრატიის გაძლიერება

ელექტრონული მმართველობა შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელვან ინსტრუმენტად. იუნესკოს განმარტებით, ელექტრონული მმართველობა არის საჯარო სექტორის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს და გახდის სახელმწიფოს უფრო ანგარშვალდებულს, გამჭვირვალესა და ეფექტურს. სხდომის მიზანია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება საჯარო მმართველობაში და გამოცდილების გაზიარება საჯარო და კერძო სექტორს შორის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სესია ხელს შეუწყობს ყველა ადმინისტრაიულ ერთეულს, მათ შორის თბილისის მერიას განახორციელოს სამოქალაქო მომსახურება უფრო გამჭვირვალედ და ეფექტურად.

### ინვესტიციები - როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები ქალაქების გონიერი, ინკლუზიური და მდგრადი  განვითარებისთვის

ინვესტიციებზე საუბრისას, ვგულისხმობთ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, სტაბილურობას, სამუშაო ადგილებს, კარგ საცხოვრებელ პირობებსა და ბედნიერ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ინვესტიციები ქალაქებს ახალი იდეებით ამარაგებს; ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ახალი ცხოვრებისა და მომავლის განვითარებისთვის.
ამ სესიის საშუალებით მოხდება ქალაქების პოტენციალის დადგენა, თუ რამდენად არის მათი კარი ღია ახალი ინვესტიციებისთვის. მოხდება ხაზგასმა სტაბილურ საინვესტიციო გარემოსა და მაღალკვალიფიციურ მუშახელზე უცხოელებისთვის. ქალაქები შეაფასებენ თავიანთ პოზიციებს და განიხილავენ სამომავლო შესაძლებლობებს.

### ენერგოეფექტურობა - ენერგოეფექტური გადაწყვეტილებები ქალაქების და უბნების განვითარებისთვის

ენერგოეფექტური გმიდგომა ქალაქებისა და უბნებისთვის არის საუკეთესო პრაქტიკა ადგილობრივი, ხელმისაწვდომი და დაბალემისიებიანი ენერგიის მოხმარებისთვის. USAID-ის კვლევის თანახმად, საქართველოს აქვს ენერგოეფექტურობის დიდი პოტენციალი საჯარო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ სახლებში. ემისიების შემცირების იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც თბილისს აქვს დასახული მერების შეთანხმების მიხედვით, აუცილებელია განხორციელდეს კოლექტიური, ინოვაციური, გონივრული ენერგოეფექტური გადაწყვეტა.

### საზოგადოებრივი ტრანსპორტი - საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამარტივებული კომუნიკაციისთვის: დაახლოება მსოფლიოს ქალაქების მიდგომებთან

სატრანსპორტო სფეროში ცვლილებები ხორციელდება, იმის მიუხედავად ვართ თუ არა ამისთვის მზად. ტრანსპორტზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. სესიის მთავარი ნაწილი დაეთმობა ინოვაციური კვლევებს ურბანული მობილობის გასავითარებლად. თითოეული ქალაქი დგას სხვადასხვა გამოწვევების წინაში, რომელთა დაძლევაც უნდა განხორციელდეს საკუთარი თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა, რა თქმა უნდა არსებობს მსგავსი შემთხვევებიც, რომელთაგანაც ერთი მაინც შეიძლება მიესადაგებოდეს თქვენს შემთხვევას.

### ტურიზმი - მიმზიდველი სივრცული მოწყობა და ტურიზმის ახალი ტალღა ქალაქებში

ქალაქის ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურბანული განვითარების სტრატეგიებსა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში; საზოგადოებრივი სივრცის გაახალგაზრდავებასა და რეკრეაციული ობიექტების გაფართოებაში. განახლების პროცესი, რომელიც ტურიზმის განვითარების შედეგია, ხელს უწყობს ახალი შესაძლებლობების შექმნას და დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდასა და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გარდა ამისა უქმნის მოსახლეობას ცხოვრებისთვის უკეთეს პირობებს.

### საერთაშორისო ურთიერთობები - მჭიდრო თანამშრომლობა თბილისსა და პარტნიორ ქალაქებს შორის - ინიციატივები და მოტივაცია ქსელის გასაზრდელად

გაეროს კვლევების მიხედვით, დღესდღეობით მსოფლიო მოსახლეობის 54% ქალაქში ცხვრობს, რაც 2050 წლისთის სავარაუდოდ 66%-მდე გაიზრდება. შედეგად, ქალაქები მრავალი გამოწვევის წინაშე დადგებიან მომრავლებული მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით, მათ შორის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა და დასაქმება, ასევე პირველადი მოთხოვნილებები, როგორიც არის განათლება და ჯანდაცვა. მსოფლიოს ქალაქები მიმართავენ C2C პარტნიორობას, როგორც ამ პრობლემების პოტენციურად ნაკლებდანახარჯიან და მდგრად საშუალებას. თბილისსა და მის პარტნიორ ქალაქებს აქვთ ერთად მუშაობის წარმატებული გამოცდილება. გარდა ამისა, უფრო ძლიერი თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში, ინოვაციებში, განათლებასა და სხვა დარგებში იძლევა დასაქმების გაზრდის, მოწინავე ინდუსტრიების გაფართოებასა და საერთო ქმეუნარიონობის გაძლიერების შესაძლებლობას.

### ქალაქის ინფრასტრუქტურა - მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება და ინოვაციური პროექტების განხორციელება: რა როლი უკავია ქალაქის ინფრასტრუქტურას ეკონომიკური განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოში ურბანული დაგეგმარება მნიშვნელოვანი განხილვის საგნად რჩება. ქალაქის სწორი ურბანული განვითარება გულისხმობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მაღალი სიმჭიდროვის მიღწევას, ამასთან ერთად, მრავალფეროვნების, დინამიურობის და სოციალური ურთიერთკავშირების წახალისებას მაცხოვრებლებს შორის.
სესია აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას ურბანისტებს, ქალაქის დაგეგმარების სპეციალისტებს და დაინტერესებულ მხარეებს დიალოგის გზით აღმოაჩინონ ახალი მიმართულებები და შესაძლებლობები ურბანული განვითარების კუთხით.

### კრეატიული ინდუსტრია - უნარები  და ტრანსფორმაციული ქმედებები: კრეატიული იდეების გარდაქმნა შემოსავლის წყაროდ

ინოვაციური, კომერციული და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს კრეატიული ინდუსტრია იკავებს. კრეატიული ეკონომიკის 2008 წლის ანგარიშის (The Creative Economy Report 2008) მიხედვით, 2005 წელს მსოფლიო ვაჭრობის 3.4%-ი კრეატიულ ინდუსტრიებზე მოდის, ამავე წელს საკმაოდ მსხვილია ინდუსტრიის წილი საერთო ექსპორტშიც, რაც ჯამში 424 მილიარდ დოლარს შეადგენს. აქედან, გამომდინარე ნათელია, რომ კრეატიული ეკონომიკის განვითარება, მნიშვნელოვანია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან მან შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა და  დასაქმების დონე.

### აღმოსავლეთ პარტნიორობა - აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა ერთიანი და მდგრადი ქალაქებისთვის

აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა უზრუნველჰყოფს უნიკალურ შესაძლებლობას, რათა პარტნიორობის ქოლგის ქვეშ შემავალმა ქვეყნებმა გააუმჯობესონ ურთიერთთანამშრომლობა მდგრადი განვითარების მიმართულებით. აღნიშვნის ღირსია, რომ საჭიროა უფრო მეტი აქცენტირება ადგილობრივი მმართველობის დონეზეც და შესაბამისად, აღნიშნულმა პარტნიორობამ უნდა მოიცვას  მუნიციპალიტეტების  ინიციატივების პრაქტიკულ რეალიზაცია. თბილისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეშ შემავალ ქალაქებთან თანამშრომლობის საფუძველზე შეეცდება შექმნას „Platform of EP cities„, სადაც მონაწილე მხარეები შეძლებენ საერთო ინტერესების განხილვას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. თანამშრომლობის გაძლიერება შესაძლებელია მრავალი მიმართულებით, მათ შორის: კარგი მმართველობა, ეკონომიკური ინტეგრაცია და მდგრადი განვითარება, ენერგო უსაფრთხოება, ენერგო ეფექტურობა, ეკოლოგია, ნარჩენების მართვა და ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება.

# ინფორმაცია მომხსენებლებზე

## პედრო ორტიზი



მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი მეტროპოლური მიწების ექსპლუატაციის ინტეგრაციის საკითხებში. ჯერ კიდევ, მადრიდის მერის მოადგილის და მეტროპოლური დაგეგმარების დირექტორის პოსტზე ყოფნისას, დიდი წვლილი შეიტანა ესპანეთის დედაქალაქის სწრაფი განვითარების პროცესში.
ურბანული დაგეგმარების კუთხით, მისი ბიგრაფია მრავალფეროვანია: მადრიდის არქიტექტორთა საბჭოს დირექტორის მოადგილე; ურბანული განახლების ინსტიტუტის დირექტორი; მეფე ხუან კარლოს სახელობის უნივერსიტეტში ქალაქის დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელი; დაგეგმარების და საკონსულტაციო ფირმის Arop&As-ს პარტნიორი, კონსულტაციას უწევდა, როგორც ნავარას და მურსიას რეგიონული მთავრობებს, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ქალაქებს და რეგიონებს.
თანამშრომლობს საინჟინრო და დეველოპერულ კომპანიებთან: Intevia, SA, Institute of Transport Engineering and Roads, the Centro Superior de Arquitectura, Camuñas Foundation.
ამჟამად, პედრო ორტიზი არის მსოფლიო ბანკის უფროსი ურბანისტი, ვაშინგტონში.

## ტოდ ლიტმანი



1995 წლიდან ტოდ ლიტმანი არის დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციის Victoria Transport Policy Institute-ის დამაარსებელი და აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მუშაობს ტრანსპორტის და ინოვაციების მიმართულებით. მის ნაშრომებს მნიშვნელოვანი წილი შექავს ტრანსპორტის განვითარების სფეროში, შეფასების მეთოდოლოგიაში, ხოლო მისი სპეციალიზირებული ტექნიკური კონცეფციები ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.
ტოდ ლიტმანის ავტორობით შეიქმნა ონლაინ TDM (Transportation Demand Management) ენციკლოპედია. ეს არის მობილობის მართვის სტრატეგიის იდენტიფიკაციის, შეფასების, ღირებულების და სარგებლის ანალიზის მრავალმხრივი ინტერნეტ რესურსი. სწორედ მისი პროფესიონალიზმიდან და მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ლიტმანი ხშირი სტუმარია ფართომასშტაბიანი კონფერენციებისა თუ სამუშაო შეხვედრების. მისი პრეზენტაციები ტექნიკური, თუ პრაქტიკული კუთხით, მართლაც რომ შთამბეჭდავია.
ამჟამად, ის აქტიურად თანამშრომლობს რამოდენიმე პროფესიონალურ ორგანიზაციებთან: Transportation Engineers (ITE) და Transportation Research Board.

## პიერ ლუიჯი საკო



პროფესორი ეკონომიკის დარგში და მილანის IULM უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების რექტორის მოადგილე. მისი ხელმძღვანელით ქალაქ სიენამ მიიღო სტატუსი „სიენა-ევროპის კულტურულ ქალაქი 2019„. პიერ ლუიგ საკოს სტატიები აქტიურად ქვეყნდება იტალიის ეროვნულ, ყოველდღიურ ბიზნესის ანალიტიკურ გაზეთში „Il Sole 24 Ore„, ხოლო მისი ავტორობით „Artribune„ და „Flash Art„ ჟურნალებმა არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა სხვადასხვა თემატიკაზე: კულტურული ეკონომიკა, კულტურული პოლიტიკის დიზაინი და ეკონომიკის თეორია.
პიერ ლუიგ საკო საერთაშორისო კონფერენციებზე ხშირად მიწვეულია როგორც ერთ-ერთ მთავარ სპიკერი; კონსულტაციებს უწევს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ მთავრობებს, ორგანიზაციებს და კულტურულ ინსტიტუტებს.
Warwick კომისიის (ევროპელი ექსპერტების ქსელი კულტურის დარგში), ვარშავაში Ujazdowski Castle Museum -ის ბორდის და ევროპული კულტურული სახლის წევრი.

## იოშენ ზიგმუნდი



არქიტექტორი და ქალქების დამგეგმავი. ხელმძღვანელობს კორპორატიული არქიტექტორთა ინტერდისციპლინურ და კორპორატიულ სცენოგრაფიულ სამსახურებს, ასევე მდგრადობაზე და კორპოპრატიულ პასუხისმგებლობაზე სპეციალიზირებულ გლობალური მართვის საკონსულტაციო გაერთინებულ კორპორაციას და კვლევისა და განვითარების ცენტრს „Corporate Architecture „. მისი სამუშაო სფერო არის სრული სინთეზი თეორიის, კველევების, კონსულტაციების და რაც მთავარია, პრაქტიკული გამოცდილების.
პროფესორი ზიგმუნდი, როგორც მიწვეული ლექტორი, ლექციებს კითხულობდა TU Stuttgart და HFT Stuttgart უნივერსიტეტებში.
მისი ხელმძღვანელობით დაარსდა „SAS Siegemund Architekten Stadtplaner“-კორპორატიული არქიტექტორთა, არქიტექტურული და ურბანული დიზაინის, გამოფენების ორგანიზებაზე სპეციალიზირებული სამსახური.
1995 წელს, კიოლნის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და გამოყენებითი მეცნიერებების დარგში პროფესორის წოდება მოიპოვა. ამჟამად, უკავია დირექტორის თანამდებობა არქიტექტორული დეზაინის ინსტიტუტში (Institute of Architectural Design), აგრეთვე ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას „corporate architecture“.

## კატია სჩეჩტნერი



2004 წელს, კატია სჩეჩტერი ხელმძღვანელობით, ავსტრიის ტექნოლოგიების ინსტიტუტში, ტრანსპორტის სტიმულირების და გადატვირთულობის დინამიკის კვლევის მიმართულებით დაარსა კვლევითი ჯგუფი, რომელსაც 2012 წლამდე ხელმძღვანელობდა. როგორც კონსულტანტი და მრჩეველი, კატია სჩეჩტნერი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის კვლევით ინსტიტუებთან და ევროკომისიასთან, ლექციების კურს კითხილობს შეერთებული შტატების, ავსტრიის და ჩინეთის უნივერსიტეტებში. მისი ნაშრომები პერმანენტულად ფართო ტირაჟით იბეჭდება, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია Urban Data and Accountability Technologies. კატია სჩეჩტნერის საქმიანობის სფერო ფართო სპექტრს მოიცავს: ექსპერტი ურბანული მობილურობის მიმართულებით, Smart Cities-ის ჯგუფის წევრი, თანამშრომლობს MIT Media ლაბორატორიასთან და აზიური განვითარების ბანკთან მანილაში, ფილიპინები. მოწვეული პროფესორის სტატუსით ლექციებს კითხულობდა ვენის გამოყენებითი მეცნიერების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტებში.

## ქი ფინგშუ



ექსპერტი და აღმასრულებელი ოფიცერი ტურიზმის განვითარების მიმართულებით ჩინეთის რესპუბლიკაში. 1993 წლიდან მუშაობს ჩინეთის ეროვნული ტურიზმის განვითარების (CNTA) ადმინისტრაციაში, აღმასრულებელი ოფიცერის პოზიციაზე. ეროვნული ადმინისტრაცია(CNTA), ქვეყნის მასშტაბით, ოპერირებს 13 პროვინციაში, რომელიც პასუხისმგებელია ჩინეთის რესპუბლიკის რეგიონული ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე, აღნიშნულ სფეროში ბაზრის კვლევების განხორციელებაზე და მენეჯმენტზე. ქი ფინგშუ ტურიზმის განვითარების კუთხვით არაერთი ნაშრომის ავტორია.

# დამატებითი ინფორმაცია

## ფორუმის მონაწილეები

ფორუმს დაესწრებიან როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე არაერთი მნიშვნელოვანი ფიგურა საერთაშორისო საჯარო და კერძო სექტორიდან, საელჩოები, ფონდები და არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა.

## ორგანიზატორი

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით, თბილისის მერიის, როგორც ლონისძიების ორგანიზატორის მიზანს, წარმოადგენს იმ ფასეული საქმიანობის გაგრძელება, რომელიც 9 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. გვაქვს პატივი ვუმასპინძლოთ ღონისძიების საპატიო სტუმრებს და შევქმნათ მტკიცე პლატფორმა, შევიტანოთ მნიშვნელვანი წვლილი დედაქალაქის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში და გავხადოთ იგი მიმზიდველი ყველასათვის.

## პარტნიორი ორგანიზაციები

თბილისის მერია მოხარულია რომ მას მხარს უჭერენ ისეთი მნიშვნელოვანი პარტნიორები, რომლებიც ფორუმის წარმატებით ორგანიზების მიზნით აქტიურად არიან ჩართული როგორც ღონისძიების კონცეფციის მომზადების ისე ტექნიკურ ნაწილში.

**აზიის განვითარების ბანკი (ADB)**
აზიის განვითარების ბანკი წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც მრავალი წელია აქტიურ მხარდაჭერას უწევს ქალაქ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებს. ADB უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებას მდგრადი ეკონომიკის ზრდის მისაღწევად, სიღარიბის დასაძლევად და რეგიონალური კავშირების გასაღრმავებლად.

**გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, GIZ**
GIZ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ეკონომიკისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს სახელით. GIZ მხარს უჭერს საქართველოს სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობის, მუნიციპალური განვითარების, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულებით.

# დამატებითი ინფორმაცია

## რჩევები

**ბეიჯები:**

რეკომენდირებულია ყველა მონაწილისთვის ფორუმის ბეიჯის ტარება სესიების განმავლობაში.

**სამუშაო ენა:**

ფორუმის სამუშაო ენა არის ქართული, ინგლისური და რუსული. სინქრონული თარგმანი უზრუნველყოფილია.

## მონაწილეობა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი უზრუნველყოფს ღია სივრცეს დიალოგისა და საზოგადოების ჩართულობისთვის, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. რეგისტრაცია ღიაა ყველა მსურველისათვის.
სესიებზე დასასწრებად დარეგისტრირდით ვებ-გვერდზე: www.economicforum.ge| www.tbilisi.gov.ge

*დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:*

+995 (32) 2 378 380
+995 (32) 2 378 382

forum@tbilisi.gov.ge
economic@tbilisi.gov.ge

## ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ:

სასტუმრო ბილტმორ თბილისი

შოთა რუსთაველის გამზირი 29, 0108 თბილისი, საქართველო

ტელეფონი +995 32 272 72 72

www.millenniumhotels.com/en/tbilisi/the-biltmore-hotel-tbilisi/

## ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ:


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

შარტავას ქუჩა N7, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 378 128;
Fax: +995 322 378 225
ელ-ფოსტა: forum@tbilisi.gov.ge
www.economicforum.ge
www.tbilisi.gov.ge